## <u>დანართი 1</u>

# საქართველოს მუნიციპალიტეტებში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შეფასება PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

### 1. პროგრამის მოკლე აღწერა

<u>პროგრამის სახელწოდება:</u> კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში (GGLD).

- ➔ GGLD ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით.

<u>მიზანი</u>: საჯარო დაწესებულებები მიერ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება მდგრადობის, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებითა და დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და გამჭვირვალობის პრინციპების შესახებად აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ცხოვრების პირობებს.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

### 2. სამუშაო აღწერილობა

PEFA, როგორც სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი ობიექტურად აფასებს სახელმწიფო (მუნიციპალური) ფინანსების მართვის ხარისხს.

*საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება*

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების ეფექტიანობის შეფასების (PEFA) პროგრამა რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებით ქმნის საფუძველს, რომ ობიექტურად განხორციელდეს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) მენეჯმენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გაზომვა. PEFA უზრუნველყოფს PFM–ის შეფასებას დროის კონკრეტულ პერიოდში. PEFA-ს შეფასების სტრუქტურა არის ანგარიში, რომელიც მოიცავს PFM-ის სისტემის შეფასებას ფაქტიურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და იგი იზომება 31 ინდიკატორის მიხედვით.

ასევე, გარდა სტანდარტული ინდიკატორებისა, 2020 წელს გამოქვეყნდა დამატებითი მეთოდოლოგია **(Supplementary Framework for Assessing Gender Responsive Public Financial Management)**, რომლებიც ეხება ზემოაღნიუშნული 31 ინდიკატორის ნაწილს და მათი მეშვეობით პირველად ხდება შესაძლებელი სახელმწიფო ფინანსების მართვა შეფასდეს გენდერულ ჭრილში.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზანია საქართველოს **7** მუნიციპალიტეტში:

- საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის შეფასება PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით;
- შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების მომდევნო 3 წლის განმავლობაში გამოსწორების მიზნით კონკრეტული რეკომენდაციებისა და ღონისძიებების ჩამონათვალის მომზადება, ასევე ამ იმ სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა, რომლითაც შესაძლებელი გახდება შეფასდეს წარმატებით შესრულდა თუ არა ესა თუ ის რეკომენდაცია/ღონისძიება;
- მუნიციპალიტეტების საჯარო ფინანსების მართვის შეფასება განხორციელდეს გენდერულ ჭრილში საჯარო ფინანსების შეფასების (Gender Responsive Public Finance Management) მიზნით დამატებით შემუშავებული გენდერული ინდიკატორების გათვალისწინებით.

საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის შეფასება უნდა დაეფუძნოს GUIDANCE FOR SNG PEFA ASSESSMENTS მეთოდოლოგიით გამოყენებულ ინდიკატორებს. შეფასება უნდა განხორციელდეს გასული 3 წლის პერიოდის მიხედვით, რომელიც თითოეული მუნიციპალიტეტისათვის მოიცავს 2018-2020 წლებს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მეთოდოლოგიის მიერ თითოეულ ინდიკატორზე დადგენილი დაფარვის არეალი, დროის პერიოდი და შეფასების ინსტრუქციები.

PEFA-ს შეფასების სტრუქტურა შედგება შემდეგი 7 ძირითადი და ერთი დამატებითი SNG სვეტისგან:

SNG. მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობები

1. ბიუჯეტის სანდოობა
2. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა
3. აქტივებისა და ვალდებულების მართვა
4. პოლიტიკაზე დაფუძნებულია სტრატეგია და ბიუჯეტირება
5. ბიუჯეტის აღსრულების პროგნოზირება და კონტროლი
6. აღრიცხვა და ანგარიშგება
7. გარე ანალიზი და აუდიტი

შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ დაკვეთის ფარგლებში შეფასდება მუნიციპალიტეტები და არა ცენტრალური ხელისუფლება. ამასთან, დაკვეთის მიზანს არ წარმოადგენს გარე აუდიტის შეფასება.

შემფასებელმა უნდა გაითავლისწინოს, რომ შეფასების მიზანს წარმოადგენს შერჩეული მუნიციპალიტეტებში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შეფასება SNG PEFA-ს მეთოდოლოგიის ინდიკატორების გამოყენებით. ეს შეფასება არ წარმოადგენს მეთოდოლოგიით დადგენილი ყველა ფორმალური პროცედურის და დადგენილი ეტაპების გავლას, მათ შორის PEFA check-ის მიღებას. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ შეფასებისას წარმოდგენილი ანგარიშები ნათლად ასახავდეს მუნციპალიტეტის საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში არსებულ მდგომარეობას. ამ მიზნის მღწევის გზები და საშუალებები წარმოდგენილი უნდ იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებაში.

შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თითოეული ინდიკატორის საბოლოო შფასებისას უნდა მოხდეს დაბალი რგოლის მეთოდისა (M1 (WL)) და საშუალო რგოლის მეთოდის (M2 (AV)) გამოყენება.

ასევე, შეფასებისას დაცული უნდა იყოს მეთოდოლოგიის მიერ დადგენილი განზომილების შემდეგი განსაზღვრებები:

- ✓ All refers to 90 percent or more (by value).
- ✓ Most refers to 75 percent or more (by value).
- ✓ Majority refers to 50 percent or more (by value).
- ✓ Some refers to 25 percent or more (by value).
- ✓ A Few refers to less than 25 percent and more than 10 percent (by value)

გარდა სტანდარტული ინფიკატორებისა, სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) ინდიკატორების გამოყენებით მუნიციპალიტეტების საჯარო ფინანსების მართვის შეფასება განხორციელდეს გენდერულ ჭრილში საჯარო ფინანსების შეფასების **(Gender Responsive Public Finance Management)** მიზნით დამატებით შემუშავებული გენდერული ინდიკატორების გათვალისწინებით.

GUIDANCE FOR SNG PEFA ASSESSMENTS ინდიკატორების გამოყენებით შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტი;
2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი;
3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი;
4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი;
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი;
6. ქედის მუნიციაპლიტეტი;
7. ახმეტის მუნიციპალიტეტი;

შეფასების ანგარიშგების ფორმები უნდა იყოს შესაბამისი მეთოდოლოგიით დადგენილი ფორმების.

საბოლოო ანგარიში, უნდა მოიცავდეს 4 ძირითადი ამოცანისათვის საბაზისო და სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრას. ეს ამოცანებია:

**I. საშუალოვადიანი დაგეგმვა და პროგრამულ ბიუჯეტირება**

**II. აღრიცხვა  და ანგარიშგება**

**III. ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა**

**IV. საინვესტიციო პროექტების მართვა.**

თითოეული ამოცანისათვის განისაზღვროს ინდიკატორი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში საჯარო ფინანსების მართვის არსებული შეფასებიდან. წარმოდგენილი ინდიკატორი უნდა აერთიანებდეს PEFA-ს შეფასების რამოდენიმე ინდიკატორს და ანგარიშში უნდა ჩანდეს ეს კავშირი.
განისაზღვროს წარმოდგენილი ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები. სამიზნე მაჩვენებლი უნდა გაიწეროს შემდგომი 3 წლის მიხედვით (2022-2024) და თითოეულ წელზე განისაზღვროს კონკრეტული, მკაფიო მიზანი. ასევე, წლების მიხედვით თითოეულ მიზანზე უნდა დადგინდეს გადამოწმების საშუალოება.
ზემოთ მოყვანილი ამოცანები შესაბამისი ინდიკატორებით, ასევე ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები განსაზღვრული უნდა იყოს თითოეულ მუნიციპალიტეტზე ცალ-ცალკე.

**მოთხოვნები საკონსულტაციო კომპანიასთან:**

უნდა ქონდეს PEFA-ს შეფასების პრაქტიკული გამოცდილება ან შესაბამისი თეორიული ცოდნა დადასტურებული საბუთით (საერთაშორისო საფინანსო ინსტუტუტების მიერ ორგანიზებული სპეციალური სასწავლო კურსი; ტრეინინგი)

შემფასებელმა შეფასების პერიოდში აქტიურად უნდა ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, მიიღოს მათგან საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია მოიძიოს სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით. სამუშაო ძირითადად იწარმოებს დისტანციურ რეჟიმში,  სხვა შემთხვევაში მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას ონლიაინ ინტერვიუები და გასაუბრებები.

**სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:**

სამუშაოს დაწყება: 10.04.2021

სამუშაოს დასრულება 20.06.2021

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

**განაცხადების მიღება და შერჩევა**

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO).

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის ბოლო 2 წლიანი გამოცდილება და კომპეტენცია საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით *(ქართული საჯარო ფინანსების მართვის სისტემისა და გარემოს სრულყოფილი ცოდნა)*;
2. ტექნიკური შემოთავაზების და პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის ადეკვატურობა;
3. წარმოდგენილი ექსპერტების გამოცდილება/შესაძლებლობა განახორციელონ საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შეფასება PEFA ინდიკატორების გამოყენებით *(განისაზღვრება ორგანიზაციის გუნდის მიერ განხორციელებული მსგავსი პროექტებით, რაც მითითებული უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპერტების რეზიუმეებში);*
4. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

**მომსახურების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი**

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 10.04.2021 – 20.06.2021.

შუალედური გადახდა სავარაუდოდ 10.05.2021-მდე მოხდება შუალედური ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე

შუალედური ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

PEFA-ს შეფასების განსახორიციელებლად ყველა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან შეხვედრების ორგანიზება - ონლაინ კომუნიკაცია. მაღალი თანამდებობის პირებთან შეთანხმებული დეტალური სამუშაო გეგმა.

საბოლოო გადახდა განხორციელდება საბოლოო ანგარიში წარმოდგენის საფუძველზე (სავარაუდოდ 20.06.2021). საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განცხადებით, ასევე სამუშაო გეგმით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

**შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*1. თავფურცელი*

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

*2. პროექტის აღწერა*

*2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)*

*2.2. პროექტის  მიზანი და ამოცანები*

*2.3  პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი*

| # | ღონისძიება | აპრილი | მაისი | ივნისი | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | | *[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]* |
| 2 | Y | | | | |
| 3 | Z | | | | |
| ... | … | | | | |

*2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები*

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

*2.5. დანართი*

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

**ფინანსური შემოთავაზება უნდა  მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)*

| # | კატეგორია | ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი (GEL) | საერთო ღირებულება (GEL) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტის ჰონორარი** | | | | | |
| 1.1 | | [თვე ან კაც-დღე] | | | | |
| 1.2 | | | | | | |
| 1.3 | | | | | | |
| | ... | | | | | |
| | ჯამი | | | | | |
| 2 | სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ) | | | | | |
| 2.1 | ტრანსპორტის ხარჯი | | | | | |
| 2.2 | ღამისთევის ხარჯი | | | | | |
| 2.3 | სასტუმროს ხარჯი | | | | | |
| 2.4 | დღიური თანხა პერდიემი | 15 ლარი/დღე | | | | |
| 2.5 | ... | | | | | |
| | ჯამი | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | | |

***ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი,*** რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან. (როგორც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2 მუხლში/ დანართი 4.

****მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.***